სტატიები

ეკა დარბაიძე •
თამილა ნიპარიშვილი •

ქალთა სოციალური და პოლიტიკური როლი საქართველოში: ისტორიული ევოლუცია და თანამედროვე რეალობა

აბსტრაქტი

ქალთა სოციალური და პოლიტიკური როლი საქართველოში ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს ქვეყნის ისტორიული განვითარების და თანამედროვე დემოკრატიული დღის წესრიგის კონტექსტში. სხვადასხვა ეპოქაში ქართველ ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კულტურულ ცხოვრებაში, თუმცა მათი მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეზღუდული რჩებოდა. დღევანდელი გლობალური დისკურსი, რომელიც ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის, როგორც დემოკრატიის ხარისხის საზომის მნიშვნელობას, კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ქართული გამოცდილების შესწავლას.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში გენდერული როლების ისტორიულ-კულტურული ევოლუციისა და მათი სოციალური და პოლიტიკური რეალობის ფორმირებაზე გავლენის კომპლექსურ ანალიზს. კვლევა მოიცავს XI–XVIII საუკუნეების სამართლებრივ წყაროებში ქალთა სტატუსის ნორმატიულ

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.
• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი მკვლევარი.

რეგულაციათა კვლევას, საბჭოთა ეპოქის გენდერული პოლიტიკის ტრანსფორმაციებისა და მისი შედეგების შეფასებას, ასევე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდიდან დღემდე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დინამიკის გაანალიზებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გენდერული კვოტირების მექანიზმს, როგორც ქალთა წარმომადგენლობის ზრდის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, და მის გაუქმებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ, ინსტიტუციურ და კულტურულ გამოწვევებს.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მიუხედავად განხორციელებული პროგრესული ნაბიჯებისა, ტრადიციულ ნორმებსა და სტერეოტიპებზე დამყარებული საზოგადოებრივი ცნობიერება და ინსტიტუციური ბარიერები კვლავ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ქალთა პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: გენდერული როლები, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, გენდერული კვოტირება, ქალთა სოციალური სტატუსი, საბჭოთა საქართველო.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქალთა როლი ქართულ საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში მრავალი ცვლილების მიუხედავად, მუდმივად ექვემდებარებოდა ტრადიციულ სტერეოტიპებსა და სოციალურ ნორმებს. ისტორიული წყაროები მიუთითებს, რომ მიუხედავად რამდენიმე გამორჩეული ქალის მნიშვნელოვანი ღვაწლისა, ეს უფრო გამონაკლისს წარმოადგენდა და არა დამკვიდრებულ ან მასობრივ წესრიგს. ქალთა უმრავლესობა პოლიტიკური და სოციალური პროცესებიდან ჩამოშორებული რჩებოდა, მათი პასუხისმგებლობები კი ძირითადად საოჯახო მოვალეობებითა და შვილების აღზრდით შემოიფარგლებოდა.

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის საკითხი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტუალური გახდა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც თანასწორი სამოქა-

ლაქო უფლებებისთვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადავიდა. 1918 წელს ქართველი ქალები მსოფლიოში იმ პირველთა შორის აღმოჩნდნენ, რომლებმაც არჩევნებში ხმის მიცემისა და საკანონმდებლო ორგანოში არჩევის უფლება მოიპოვეს. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა „დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ დებულება“, რომლის მესამე თავი ითვალისწინებდა არჩევნებში ორივე სქესის მონაწილეობის უფლებას „თუ ისინი არჩევნების დღეს ოცი წლის ან უფროსი ასაკის” იყვნენ. გარდა ამისა, დებულების ზოგად ნაწილში აღნიშნული იყო, რომ „დამფუძნებელი კრება შედგებოდა მოსახლეობის მიერ საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნებით არჩეული წევრებისაგან, მიუხედავად სქესისა და პროპორციული წარმომადგენლობისა“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1918).

1919 წლის 12 მარტის არჩევნების შედეგად, საქართველოს დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან 5 ქალი იქნა არჩეული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით, ადგილების განაწილებაში გენდერული უთანასწორობა კვლავ თვალსაჩინოდ შეინიშნებოდა, თუმცა, აღნიშნული დისბალანსი კვლავ ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე ტენდენციად რჩებოდა საქართველოში.

საბჭოთა ეპოქამ გარკვეული სამართლებრივი ცვლილებები მოიტანა, ქალებს კარიერული განვითარების ფორმალური შესაძლებლობა მიეცათ, თუმცა რეალურად მათ „ორმაგი დატვირთვის“ პირობებში ცხოვრება მოუწიათ: ერთი მხრივ წარმოებაში, ხოლო მეორე მხრივ, ოჯახურ სივრცეში. საბჭოთა პოლიტიკის დეკლარირებული თანასწორობის მიუხედავად, ქალთა სოციალური სტატუსი კვლავ შეზღუდული რჩებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ვითარება ეტაპობრივად იცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები დე

იურე თანდათან ფართოვდებოდა, მათი რეალური წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოებში, პარტიულ და აღმასრულებელ სტრუქტურებში, ისევე როგორც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეზღუდული რჩებოდა. გენდერული კვოტირების მექანიზმის გაუქმებამ 2024 წელს კიდევ ერთხელ გააჩინა კითხვა: რამდენად მდგრადია ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ზრდა, თუ არ არსებობს სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც ბალანსის შენარჩუნებას უზრუნველყოფს?

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ქალთა როლის ევოლუცია ქართულ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და შეაფასოს გენდერული კვოტირების, როგორც სამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანობა. სწორედ აქედან გამომდინარეობს რამდენიმე საკვლევი კითხვა: როგორ ჩამოყალიბდა ქალთა როლები ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვა ეპოქაში? როგორ აისახა საბჭოთა გენდერული პოლიტიკა ქალთა სოციალურ სტატუსზე? რა შედეგები მოიტანა გენდერული კვოტირების დანერგვამ და მისმა გაუქმებამ თანამედროვე საქართველოში? მიუხედავად სამართლებრივი გარანტიების გაფართოებისა, საქართველოში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა კვლავ შეზღუდულია ტრადიციული სტერეოტიპებისა და ინსტიტუციური დაბრკოლებების გამო. ამდენად, გენდერული კვოტირების გაუქმება შეიძლება სერიოზულ გამოწვევად იქცეს ქალთა წარმომადგენლობის მდგრადი ინკლუზიის უზრუნველყოფის პროცესში.

გენდერული როლების ჩამოყალიბება და ქალთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში (XI–XVIII სს.)

ქალის ადგილი საქართველოს ისტორიულ პროცესებში მრავლისმთქმელია, რასაც ცხადყოფს სხვადასხვა ეპოქაში გამორჩეულ ქალთა ღვაწლი. მათ შორისაა, მეფე თამარი, რომლის მეფობას დღემდე „საქართველოს ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ. პერიოდი,

რომელიც განათლების, კულტურისა და ხელოვნების უპრეცედენტო განვითარებითა და დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერებით გამოირჩეოდა. ქართული სახელმწიფოს გაქრისტიანებასა და სარწმუნოების გავრცელებას მჭიდროდ უკავშირდება წმინდა ნინო კაბადოკიელის სახელს, რომელმაც მთელი ცხოვრება ქრისტიანობის ქადაგებას მიუძღვნა. ასევე, დედოფალი ქეთევანი, რომელმაც კრიზისულ ეპოქაში შეძლო სამეფო ხელისუფლების კონსოლიდაცია, შეკრიბა ჯარი, დაამარცხა უზურპატორი კონსტანტინე, რითაც დროებით უზრუნველყო ქვეყნის სტაბილურობა. ამასთან, მან მსხვერპლად საკუთარი სიცოცხლე შეწირა სამშობლოს მშვიდობასა და სარწმუნოების დაცვას, რამაც იგი არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ რელიგიურ-მორალურ სიმბოლოდაც აქცია, რაც ქართულ ისტორიულ მეხსიერებაში ქალის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნათლად წარმოაჩენს. მსგავსი მაგალითები მკაფიოდ ავლენს, რომ მაღალი სოციალური კლასის ქალებს განსაკუთრებული შესაძლებლობები ჰქონდათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთვის, თუმცა მათი როლი მაინც რჩებოდა გამონაკლის მოვლენად. ასეთ ისტორიულ ფიგურებს უფრო მეტად სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭათ ეროვნული მეხსიერების კონსტრუქციაში, ვიდრე სისტემური ცვლილებების ხელშემწყობ რეალურ ძალად იქცნენ, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს, რომ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა ისტორიულად მკვეთრად შეზღუდული იყო და ძირითადად ელიტარული ფენის ფარგლებს არ სცდებოდა.

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეებში ქალების სტატუსი საქართველოს სამართლებრივ დოკუმენტებში მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა გენდერული როლების ჩამოყალიბების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „რუის-ურბნისის კრების რეგულაციები“ (1103–1104), რომლებიც არა მხოლოდ ეკლესიური დოგმატური საკითხების, არამედ პრაქტიკული და ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტას ემსახურებოდა, მათ შორის ქალთა სა-

მართლებრივი მდგომარეობის რეგულირებასაც ითვალისწინებდა (ჯავახიშვილი, 1955, გვ 266). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუის-ურბნისის დადგენილებები საქართველოში მე-16-18 საუკუნეებშიც კი ძალაში რჩებოდა. საინტერესოა, რომ მისი მე–7 მუხლი კრძალავდა ბავშვთა ქორწინებას სრულწლოვნებამდე, გოგონების მინიმალური ასაკი კი განსაზღვრული იყო 12 წლით, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ დადგენილების მიღებამდე ქალთა ქორწინების კიდევ უფრო დაბალი ასაკობრივი ზღვარი არსებობდა. რაც შეეხება ვაჟის საქორწინო ასაკს, იგი განისაზღვრებოდა მისი სქესობრივი მომწიფებით, თუმცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცვალებადი იყო: ქალების შემთხვევაში ასაკი ძირითადად 16–18 წელს შეადგენდა, ხოლო ვაჟების შემთხვევაში 20–30 წელს. მკვლევართა შეფასებით, დადგენილებაში განსაზღვრული ასაკობრივი ზღვარი უმთავრესად დინასტიური ქორწინებების რეგულირებას ემსახურებოდა, სადაც ქორწინებას სიმბოლური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ როდესაც რეალური ოჯახური ცხოვრება მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა.

გენდერული როლების სამართლებრივი აღქმის ევოლუცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა XIV საუკუნეში გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლისდებაში“. მონღოლთა ბატონობის შემდგომ, დოკუმენტი მიზნად ისახავდა სამართლებრივი წესრიგის აღდგენას აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ქალთა სტატუსი განისაზღვრებოდა მემკვიდრეობის, ქორწინების, ქალის მოტაცებისა და ოჯახური ურთიერთობების რეგულაციებით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ძეგლისდების“ სამართლებრივი ნორმები ქალებთან დაკავშირებით ძირითადად რეგიონების ტრადიციებსა და ჩვეულებებს ეფუძნებოდა. დოკუმენტის შინაარსი ადასტურებს, რომ ქალი იყო კანონის სუბიექტი, თუმცა მისი სამართლებრივი შეფასება ჯერ კიდევ ტრადიციებს ეფუძნებოდა.

ეკლესია, ვაჭრობა და სამხედრო საქმეები ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში ქალებისთვის მიუწვდომელი სფეროებად რჩებო-

და. შესაბამისად, ქალის სოციალური სტატუსის გაუმჯობესების ერთადერთ რეალურ მექანიზმს წარმოადგენდა ქორწინება, იქნებოდა ეს თავად ქალის თუ მისი ქალიშვილის ქორწინება, ან ოჯახის მამაკაც წევრთა (ქმრის, მამის ან ვაჟის) სოციალური მდგომარეობის ტრანსფორმაცია. ქალთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები მნიშვნელოვანად განსხვავდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ძირითადად რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური სპეციფიკით განისაზღვრებოდა. საქართველოს მთიან რეგიონებში და დაბლობში, ქართლში, კახეთში, სამეგრელოში, გურიაში, სასოფლო-სამეურნეო ოჯახურ თემებში ქალის ძირითადი მოვალეობები შემოიფარგლებოდა საოჯახო საქმიანობითა და ბავშვების აღზრდით. ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულება ძირითადად მამაკაცებზე მოდიოდა, რომლებიც ასევე იკავებდნენ მნიშვნელოვან სოციალურ პოზიციებს საზოგადოებაში. ქალთა უფლებები როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვეთრად იყო შეზღუდული. მათ არ გააჩნდათ საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და სამართლებრივ ინსტანციებში საკუთარი ინტერესების სრულფასოვანი წარმოჩენის შესაძლებლობა, მათ შორის, სასამართლოში მოწმის სტატუსით გამოსვლის უფლება. ამგვარი სოციალური ნორმები და უფლებრივი შეზღუდვები საქართველოს ისტორიულ კონტექსტში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქალის საზოგადოებრივ როლსა და აქტივობებზე.

საქართველოს მთიან რეგიონებში სოციალური პირობები განსხვავებული იყო. ხევსურეთში, სვანეთსა და თუშეთში, სადაც უმთავრესად მესაქონლეობა ან შერეული ეკონომიკა ფუნქციონირებდა, ქალები მონაწილეობდნენ არა მხოლოდ საოჯახო საქმიანობაში, არამედ საველე სამუშაოებში, საქონლის ძოვებასა და მატყლის დამუშავებაში. დიდი საყოფაცხოვრებო ტვირთი ქალებს გარკვეულ დამოუკიდებლობას ანიჭებდა.

ქორწინებისა და განქორწინების პროცესში, ქართული სამართლის პრინციპებით, ქალი და მამაკაცი თანასწორ სუბიექტებად არ

აღიქმებოდნენ. პირიქით, ქმედება, რომელიც ქალისათვის უმძიმეს დანაშაულად მიიჩნეოდა, მამაკაცის შემთხვევაში ხშირად დასაშვებადაც კი ითვლებოდა. ფეოდალური საქართველოს კანონმდებლობა დანაშაულად მხოლოდ ცოლის მიერ ქმრის ღალატს განიხილავდა, მაშინ როცა ქმრის მსგავსი საქციელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებდა. ცოლის მრუშობა განსაკუთრებულ ცოდვად და მძიმე დანაშაულად იყო მიჩნეული. საერო და სახალხო სამართალი ქმარს ასეთ შემთხვევებში ფართო უფლებამოსილებას ანიჭებდა, რაც ცოლთან მიმართებაში მკაცრი და დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას ითვალიწინებდა („კვეთილში ჩასმა", „ვირზე შესმა", „სამარცხვინო ბოძზე მიბმა" და სხვ.). ამგვარი წესრიგი ასახავდა პატრიარქალური ოჯახის სტრუქტურას, რომელშიც ოჯახის უფროსი განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობოდა „მორალით გადაცდომილ" ცოლს. (ჯალაბაძე, 1981).

მემკვიდრეობის საკითხი ქართულ სამართლებრივ ტრადიციაში მრავალფეროვანი და სოციალური იერარქიის მიხედვით დიფერენცირებული იყო. როგორც სამართლის ისტორიული წყაროები მოწმობს, მემკვიდრეებად აღიარებულნი იყვნენ როგორც ვაჟები, ისე ქალები. თუმცა ქალის მემკვიდრეობითი უფლება მკვეთრად შეზღუდული იყო: იგი ქონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდა, თუ „სახლსა შინა" რჩებოდა, ანუ არ იყო გათხოვილი. აღნიშნული წესი ასახავდა პატრიარქალური წესრიგის იმ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც ქალი ქორწინების შედეგად სხვა ოჯახის საკუთრებაში გადადიოდა და შესაბამისად, მამისეულ ოჯახში ქონებრივ უფლებებს კარგავდა. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მამრობითი სქესის მემკვიდრე არ არსებობდა და მამული „უმკვიდროდ" რჩებოდა, ქონება სრულად გადადიოდა მდედრობით სქესსა და მის შთამომავლებზე (ჯავახიშვილი, 1984, გვ. 272).

ვაჟიშვილის უპირატესობა ქალიშვილთან შედარებით იმით იყო განპირობებული, რომ ვაჟი მიიჩნეოდა გვარის გამგრძელებლად და წინაპართა საკულტო წეს-ჩვეულებების უშუალო შემსრუ-

ლებლად. ამასთანავე, იგი ახორციელებდა სხვა მნიშვნელოვან სოციალურ როლებსაც, მებრძოლის, დამცველის, სისხლისამღების და სხვა. უვაჟიშვილო ოჯახი აღიქმებოდა როგორც „დავსებული“ ან „ამოწვეტილი“, რაც ნათლად ასახავდა ვაჟის სტატუსის სოციო-კულტურულ მნიშვნელობას. ქალიშვილი, რომელიც სახლიდან მიდიოდა, სხვა გვარის გაგრძელების საფუძველს ქმნიდა. შესაბამისად, მემკვიდრეობის საკითხშიც ვაჟის უპირატესობა განპირობებული იყო არა მხოლოდ გვარის გენეალოგიური ხაზის გაგრძელებით, არამედ იმითაც, რომ მას ეკისრებოდა, როგორც რელიგიურ-საკულტო, ისე სამართლებრივი და სოციალური ვალდებულებები, რომელთა შესრულება აუცილებელი იყო მებატონესა და საზოგადოებრივი წესრიგის წინაშე (მეტრეველი, 2014).

სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ქალთა უფლებებს შეეხებოდა დაკავშირებული იყო ძველ ქართულ სამართლებებრივ დოკუმენტთან, მათ შორის „ძეგლისდებასთან“. მაგალითად, “ძეგლისდების” 62-ე მუხლი ეხება უდანაშაულო ცოლის მკვლელობას ქმრის მიერ, სადაც სასჯელი მოიცავდა მატერიალური ზიანის კომპენსაციას და დამნაშავის სამართლებრივ დასჯას. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირდებდა ცოლთან დაპირისპირებას, ზიანის მიყენებასა და იძულებას, სადაც ქალი სამართლებრივი დაცვის უფლებით სარგებლობდა. საინტერესოა რომ 64-ე მუხლი მკაცრად კრძალავდა ოჯახურ ძალადობას, როდესაც ქმარი ცოლის წინააღმდეგ ფიზიკურ ძალას გამოიყენებოდა, რაც მეტყველს იმაზე, რომ ქალს აღიარებდნენ სამართლებრივ სუბიექტად, ხოლო ვახტანგ VI-ის სამართალი სადავო საკითხებში ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებებს არ ადგენდა. ქალს ეძლეოდა შესაძლებლობა დაეცვა საკუთარი ინტერესები სასამართლოში და მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა ინდივიდუალურ სასამართლო განაჩენს, რაც ხაზს უსვამდა სამართლებრივი თანასწორობის პრინციპს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ კი ერეკლე II-ის მმართველობის პერიოდში, ქალების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეულწილად გაუმჯობესდა. მის პერიოდში განხორციელებული სამართლებრივი საქმიანობის პროგრესი, მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, არამედ მოქალაქეობრივი ცხოვრების, სამართლებრივი და ეკონომიკური სტატუსის გაძლიერებას საზოგადოების დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებისთვის. განათლების ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მხარდაჭერა და სამართლებრივი აქტების გამკაცრება ხელს უწყობდა ქალთა გაძლიერებას საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში. დავით ბატონიშვილის „სამართალი“ ქალთა უფლებების სფეროში მნიშვნელოვანი სამართლებრივი მიღწევით ხასიათდებოდა, რაც განამტკიცებდა ქალთა სამოქალაქო და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. კერძოდ, ქმარს არ ჰქონდა უფლება განეკარგა ცოლის მზითევი ან მისი საკუთრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად ქალი დათანხმდებოდა ამ უფლების გადაცემას. ქონებრივი კონფლიქტების დროს, რომლებიც წარმოიქმნებოდა მეუღლეებს შორის, ქალს პრაქტიკულად ეძლეოდა შესაძლებლობა ებრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. ამგვარად, ქმარი ვალდებული იყო ცოლისთვის დაებრუნებია არა მხოლოდ მატერიალური და მოძრავი ნივთები, არამედ ის ქონება, რომელიც მზითევის გამოყენებით იყო შეძენილი. გარდა ამისა, თუ ადრე განქორწინების ძირითად მიზეზად ღალატი მიიჩნეოდა, დავითის დოკუმენტში განქორწინების მიზეზების განსაზღვრისას ჩნდება ახალი ფორმულირება: „თავისუფლად და სხვათა მიზეზით“ (ბაგრატიონი, 1964, გვ. 41–42), რაც ცხადყოფს, რომ განქორწინების გადაწყვეტილება შესაძლოა ყოფილიყო მიღებული, როგორც მეუღლის ნებაყოფლობითი თანხმობით, ისე სხვა, კანონით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

ძველ ქართულ წყაროებში თვალსაჩინო იყო ქალის პროცესუალური შესაძლებლობების შეზღუდვა: კერძოდ, ქალს არ ჰქონდა

მოწმედ გამოსვლის უფლება, რასაც ნათლად ადასტურებს ვახტანგის სამართლის წიგნი. თუმცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარება იცვლება, სასამართლო პრაქტიკაში უკვე ფიქსირდება ქალთა მოწმედ მონაწილეობა, რაც მიუთითებს სამართლებრივი ცნობიერების ცვლილებასა და ქალის სტატუსის რევიზიაზე. აღნიშნული ტენდენციის გამოხატულებად შეიძლება შეფასდეს დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნის 81-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ქალი და მამაკაცი მოწმის სტატუსში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ (მეტრეველი, 2014). აღნიშნული რეგულაციები სარწმუნოდ ასახავს იმ დროის ქართული სამართლებრივი კულტურის პროგრესულობას ქალთა უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და მხარს უჭერს ქალის დამოუკიდებელ ეკონომიკურ და სამართლებრივ პოზიციას ოჯახურ ურთიერთობებში.

როგორც ვხედავთ XVIII საუკუნეში, ქალისთვის მზითევი წარმოადგენდა არა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ მფლობელობას, არამედ უზრუნველყოფდა ქალის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც აძლევდა საშუალებას, რომ საკუთარი ნებით ეწარმოებინა ეკონომიკური საქმიანობა და მონაწილეობა მიეღო შემოსავლის მომტან საქმიანობაში.

მიუხედავად სამართლებრივი რეგულაციების ფორმალური ცვლილებებისა, ქალთა მემკვიდრეობითი უფლება XIX საუკუნის მიწურულამდეც მკვეთრად შეზღუდული რჩებოდა. ეს რეალობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებულ პერიოდში ქალთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის სისტემურ სისუსტეზე მიანიშნებს, რასაც მხოლოდ რადიკალურმა სოციალურ-პოლიტიკურმა გარდაქმნებმა მოუღო ბოლო.

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქალთა მონაწილობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვეთრად იყო შეზღუდული. ქალთა ძირითადი როლი ტრადიციულად დაკავშირებული იყო საოჯახო საქმიანობასა და ბავშვების აღზრდასთან, რაც მოითხოვდა დიდ შრომას, ორგანიზებულობასა და პასუხისმგებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა საზოგადოებრივი აქტიურობა შეზღუდული იყო, მათი საქმიანობა ოჯახის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა და ამით მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია ეკისრებოდა. ოჯახში გაწეული შრომა ეკონომიკური ღირებულების თვალსაზრისით უხილავი რჩებოდა, რის შედეგადაც ქალები განიცდიდნენ უფლებრივ შეზღუდვებს და ხშირად მოქმედებდნენ სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ არათანაბარ გარემოში.

ქალთა პოლიტიკური და სოციალური უფლებების ევოლუცია საქართველოში: დამოუკიდებლობიდან საბჭოთა პოლიტიკამდე

ქალთა პოლიტიკური და სოციალური უფლებების ისტორია საქართველოში არქაული პერიოდიდან საბჭოთა პერიოდამდე მკვეთრ ტრანსფორმაციებს განიცდიდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელმაც პირველად ისტორიულად ქალებს პოლიტიკური მონაწილეობა და სოციალური შესაძლებლობები მიანიჭა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. დეკლარაციის თანახმად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თანაბრად უზრუნველყოფდა პოლიტიკურ უფლებებს მის საზღვრებში მყოფი ყველა მოქალაქისთვის, მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიისა, სოციალური სტატუსისა თუ სქესისა“ (საქართველოს ეროვნული საბჭო, 1918).

ამრიგად, საქართველოს ისტორიაში ქალებმა პირველად და ევროპის არაერთ დემოკრატიულ სახელმწიფოზე გაცილებით ადრე მოიპოვეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1919 წელს ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგად, ხუთი ქალი გახდა საქართველოს იმ დროინდელი საკანონმდებლო ორგანოს წევრი. მიუხედა-

ვად იმისა, რომ მათი წარმომადგენლობა კრებაში შეზღუდული იყო, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გზაზე, რომლებიც მანამდე თითქმის სრულიად გამორიცხულნი იყვნენ ქვეყნის მართვის პროცესებიდან. დამფუძნებელ კრებაში ქალთა რეპრეზენტაცია მათი პოლიტიკური სუბიექტობის აღიარების მნიშვნელოვან სიმბოლოდ იქცა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის კატო მიქელაძე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ქალებისთვის თანაბარი ხმის მიცემის უფლებისათვის ბრძოლაში. მიქელაძის საქმიანობა ემთხვევა დამფუძნებელი კრების პერიოდში მიღებულ სამართლებრივ ინიციატივებს და ხაზს უსვამს ქალთა პოლიტიკური აქტივობის ადრეულ ეტაპს საქართველოში.

1918 წელს, დასავლეთ ევროპაში ქალთა მოძრაობების მსგავსად, კატო მიქელაძემ შექმნა "ინტერპარტიული ქალთა ლიგა," რომელიც წარმოადგენდა ქალთა პირველ პოლიტიკურ ორგანიზაციას საქართველოში (Genderbarometer.Ge, 2020). კატო ასევე გამოსცემდა საკუთარ გაზეთს, სახელწოდებით „ხმა ქართველი ქალისა" და იბეჭდებოდა სტატიები, რომლებიც ასახავდა იმ დროინდელ ქალთა თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. ჟურნალი გახდა ერთგვარი რუპორი, პირველი ბეჭდური გამოცემა, რომელიც ქალებს საშუალებას აძლევდა გამოეხატათ თავიანთი პოზიცია საზოგადოებრივ ასპარეზზე. იმ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში აქტიურად ჩართულნი იყვნენ ქალები, რომლებიც საზოგადოებრივი საქმიანობის წამყვან წევრებს წარმოადგენდნენ და არსებით გავლენას ახდენდნენ, როგორც პოლიტიკური პლატფორმების, ისე ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირებაზე. განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებენ ისინი, ვინც ჩართულები იყვნენ მრავალფეროვან ინიციატივებში: ქმნიდნენ ქალთა საზოგადოებებსა და კლუბებს, ორგანიზებას უწევდნენ პოლიტიკურ ღონისძიებებს, განსაზღვრავდნენ საზოგა-

დოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქალთა უფლებათა დაცვისა და მათი სოციალური და პოლიტიკური წინსვლის საქმეში. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, ეკატერინე მელიქიშვილი-მესხი, ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძე, ელენე და ნინო ყიფიანები, რომელთა საქმიანობა წარმოადგენდა ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის ადრეულ გამოვლინებას საქართველოში, რაც თანმიმდევრულად ემთხვეოდა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ სამართლებრივ ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი პროგრესი ქალთა პოლიტიკური და სოციალური უფლებების გაფართოების მიმართულებით, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, აღნიშნული ტენდენცია მკვეთრად შეზღუდული აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლებისთვის „ქალთა საკითხი“ უმთავრესად სამუშაო ძალის ზრდის კონტექსტში განიხილებოდა, რის გამოც ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ქალთა შრომით საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობისაკენ. ფორმალურად ქალებს შესაძლებლობა ჰქონდათ აერჩიათ თითქმის ნებისმიერი პროფესია, მათ შორის ისეთი მიმართულებებიც, რომლებიც ტრადიციულად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ მიიჩნეოდა, როგორიც იყო: მედიცინა, მშენებლობა, საინჟინრო საქმიანობა და სხვ. მიუხედავად ამისა, ქალთა კარიერული წინსვლა მნიშვნელოვანი დაბრკოლებების წინაშე იდგა, განსაკუთრებით ხელმძღვანელ და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, სადაც მათი წარმომადგენლობა შეზღუდული რჩებოდა.

ლენინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქალთა ემანსიპაცია საბჭოთა კავშირში შედარებით წარმატებით მიმდინარეობდა, რადგან სწორედ მისი მმართველობის პერიოდში მიენიჭათ ქალებს ფართო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა სპექტრი. თუმცა,

მისი გარდაცვალების და სტალინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის გენდერული პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ქალთა საკითხის მიმართ არსებითად ტრანსფორმირდა: ლენინის პერიოდში დეკლარირებული რადიკალური და ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც ფორმალურად ემსახურებოდა ქალთა უფლებების გათანაბრებას, სტალინის მმართველობისას შეცვალა მკაცრად ინსტიტუციონალიზებულმა მიდგომამ. 1936 წლის კონსტიტუციით ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფო პოლიტიკა რეალურად ეფუძნებოდა ქალთა სავალდებულო „ორმაგ შრომას“, მათი ინტენსიური ჩართვა წარმოებაში პარალელურად ოჯახის ტრადიციული მოვალეობების სრული ტვირთით.

სტალინისტური პერიოდის საბჭოთა საქართველოში ქალთა პოლიტიკა ძირითადად სახელმწიფოს ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ინტერესებს ემსახურებოდა (Darbaidze & Niparishvili, 2023). მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოში ქალებს მიეცათ კარიერის განვითარებისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, ძირითადი საოჯახო პასუხისმგებლობები, მათ შორის ბავშვების აღზრდა, კვლავ მათზე იყო გადანაწილებული. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ქალები ხშირად ეწეოდნენ „მეორე ცვლას“, ამზადებდნენ სადილს, ალაგებდნენ სახლს, ასრულებდნენ ბავშვებთან დაკავშირებულ დავალებებს და ახორციელებდნენ სხვა საოჯახო საქმეებს. სტალინური ქალთა გაძლიერებისა და დაწინაურების პოლიტიკის ერთადერთ რეალურ მიზანს, ქალთა შრომითი ძალის გამოყენება წარმოადგენდა და არა ქალთა ხელშეწყობა და მათი რეპრეზენტაცია მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე. უფრო მეტიც, მისი მმართველობის პერიოდში გაუქმდა 1918 წელს ლენინის მიერ შექმნილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილება. ეს განყოფილება იყო სპეციალური სტრუქტურა, რომელიც აერთიანებდა ძალისხმევას ქალთა უფლებათა დაცვისა და მათი პოლიტიკური და სოციალური ინტეგ-

რაციის ხელშეწყობისთვის. ის აქტიურად მონაწილეობდა ქალთა პოლიტიკური განათლების, დასაქმების და სოციალური თანასწორობის საკითხების ორგანიზებასა და განხორციელებაში. განყოფილების გაუქმება კი ასახავდა საბჭოთა გენდერული პოლიტიკის არსებით ცვლილებას და სახელმწიფოს მიდგომის შეცვლას ქალთა უფლებათა მიმართ.

საბჭოთა „ახალი ქალის“ კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა სოციალური როლების ტრანსფორმაციას, გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენდა ქალთა ქცევაზე, თუმცა ეს ცვლილებები ვერ გარდაქმნიდა ქალებს მამრობითი სქესის კოლეგების თანასწორუფლებიან პარტნიორებად. სინამდვილეში ქალები არ განთავისუფლებულან საკუთარი ოჯახური ვალდებულებებისგან, პირიქით, მათ დაეკისრათ დამატებითი პასუხისმგებლობები როგორც ოჯახის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მათ ორმაგ დატვირთვას საჯარო და პირად ცხოვრებაში. უზარმაზარი საოჯახო დატვირთვის ფონზე კარიერული განვითარება რთული იყო, რის გამოც ბევრი ქართველი ქალი ირჩევდა დაბალი პერსპექტივის მქონე, მაგრამ სტაბილურ სამუშაოს, ძირითადად სახლთან სიახლოვით. ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის დაბადება ხშირად კარიერული წინსვლის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა, ხოლო საზოგადოებაში ქალზე დაწესებული ურთიერთგამომრიცხავი მოლოდინები, ერთი მხრივ საზოგადო სავალდებულო შრომა, მეორე მხრივ „ცოლისა და დედის“ იმიჯის დაცვა, კიდევ უფრო ზრდიდა მასზე სოციალურ და ეკონომიკურ ზეწოლას.

გენდერული მოლოდინები ფორმალურად იქნა ასახული 1961 წლის მაისში მიღებულ დადგენილებაში, სადაც მკაფიოდ იქნა ხაზგასმული, რომ ქალები უნდა ჩართულიყვნენ „სოციალურად სასარგებლო შრომაში“, ხოლო უსაქმურობისა და ანტისოციალური ცხოვრების წარმართვის პრევენცია სახელმწიფოს პასუხისმგებლობაში გადადიოდა (Ластовка, 2011). აღნიშნული პოლიტიკა მკაფიოდ

უსვამდა ხაზს, რომ საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკა ფორმალური თანასწორობის დეკლარაციებს აფუძნებდა, მაშინ როდესაც გენდერული უთანასწორობა სოციალური და ეკონომიკური პრაქტიკის დონეზე კვლავ ღრმად ინერგებოდა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა პოსტსაბჭოთა საქართველოში: ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური კონტექსტი

ქალთა პოლიტიკურმა მონაწილეობამ საქართველოში პოსტსაბჭოთა გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, რამაც ქვეყნის ყველა მოქალაქის სოციალურ–პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. როდესაც საბჭოთა კავშირში 70 წლიანი ყოფის შემდეგ საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ქვეყანას დამოუკიდებლოსთან ერთად მემკვიდრეობით ერგო რუსეთის მიერ ინსპირირებული ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები, ტერიტორიების ოკუპაცია, სამოქალაქო ომი, შესაბამისად ამ დროისათვის ქალთა პოლიტიკური აქტივიზმი ნაკლებად პრიორიტეტად მიიჩნედა პოსტაბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ამ ფონზე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად დაიწყო სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებისა და დემოკრატიული ფასეულობების აღიარების ხანგრძლივი პროცესი. ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ახალი პოლიტიკური რეალობის ფორმირების პროცესში. ისინი იძულებულნი იყვნენ მოეძებნათ საარსებო წყაროები, მოირგეს ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, ზოგიერთი კი იძულებული აღმოჩნდა ემიგრაციაში წასულიყო. ქალები აქტიურად ჩაერთვნენ სამოქალაქო სექტორში, თუმცა მათი ეკონომიკური სტატუსი ხშირად სუსტდებოდა, რადგან სამუშაოს დაბალი ანაზღაურება, თვითდასაქმება და მცირე ბიზნესში ჩართვა მხოლოდ გადარჩენის შესაძლებლობას თუ იძლეოდა. მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური აქტივობის ზრდისა, პოსტსაბჭოთა

პერიოდში ქალები კვლავ განიცდიდნენ სისტემურ უთანასწორობას, რაც გამოიხატებოდა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და სამართლებრივ არათანაბარ პირობებში. მათი ჩართულობა ფორმალურ პოლიტიკურ პროცესებში რჩებოდა მკვეთრად შეზღუდული, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო გენდერული სტერეოტიპებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ შექმნილი სტრუქტურული სირთულეებით. გენდერული ნორმები, რომლებიც სოციალიზმის პერიოდში ქალთა „ორმაგ დატვირთვას" გულისხმობდა (ანაზღაურებადი სამსახური და საოჯახო მოვალეობები), პოსტსაბჭოთა პერიოდში კვლავაც შემორჩა, რამაც ქალთა ფორმალურ პოლიტიკურ მონაწილეობაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. ამავე პერიოდში, საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა დაბალ დონეზე რჩებოდა. 1990-იან წლებში პოლიტიკურ პარტიებში ქალები ლიდერ პოზიციებს იშვიათად იკავებდნენ, ხოლო 1998–2001 წლებში ქალთა წილი საქართველოს პარლამენტში სავარაუდოდ 7%-დან 15%-მდე მერყეობდა (ხომერიკი, 1998). ამ პროცესებმა, ერთი მხრივ, შექმნეს ისტორიული ფონი, ხოლო მეორე მხრივ, წარმოაჩინეს თანამედროვე საზოგადოებაში ქალთა აქტივობის გაფართოების საჭიროება.

თანამედროვე საქართველოში ქალთა სოციალური როლი მრავალწახნაგოვანია და აერთიანებს როგორც შრომით, ასევე ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ ქალები ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 52%-ს შეადგენენ (World Bank, 2025). მიუხედავად ამისა, მათი ეკონომიკური აქტიურობა კვლავ დაბალია: დასაქმებული ქალების წილი 2023 წელს 43%-ს შეადგენდა, მაშინ როცა მამაკაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 63% იყო (Geostat, 2024). დამატებით, გენდერული სახელფასო სხვაობა საქართველოში 34%-მდეა, რაც ევროკავშირის საშუალოზე (13%) თითქმის სამჯერ მეტია (UN Women, 2022). კვლევები მიუთითებს, რომ ქალები ხარჯავენ ხუთჯერ მეტ დროს საოჯახო, არაანაზღაურებად შრომასა და მოვლაზე,

ვიდრე მამაკაცები, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ შრომით აქტივობასა და ეკონომიკურ გაძლიერებას (EU Neighbours East, 2025). გარდა ამისა, ქალები უფრო ხშირად არიან დასაქმებულნი არასრულ განაკვეთზე ან დაბალანაზღაურებად პოზიციებზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებს გენდერულ უთანასწორობას შრომის ბაზარზე.

ბოლო წლებში საქართველოში ქალთა განათლების სფეროში მიღწევები თვალსაჩინოა, თუმცა გენდერული უთანასწორობა კვლავ იკვეთება კონკრეტულ მიმართულებებში. უმაღლესი განათლების სტუდენტთა საერთო რაოდენობის 55%-ზე მეტს ქალები შეადგენენ, რაც მიუთითებს ქალთა აქტიურ ჩართულობაზე უმაღლესი განათლების სისტემაში (World Bank, 2025). თუმცა, ამავე დროს, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ტექნიკურ და საინჟინრო მიმართულებებში, რაც „ჰორიზონტალური სეგრეგაციის“ გამოვლინებაა. აღნიშნული ტენდენცია ხელს უშლის ქალების სრულფასოვან ინტეგრაციას მაღალი ანაზღაურების მქონე პროფესიულ სფეროებში, მათ შორის საინჟინრო, სამთო-მოპოვებით მრეწველობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგებში. მსგავსი სეგრეგაცია აღინიშნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი სოციალურ მეცნიერებებში და ნაკლებად ტექნიკურ დარგებში (World Bank, 2025).

ქალთა როლი მიგრაციის პროცესში წარმოადგენს განსაკუთრებით აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევას, რომელიც საჭიროებს სისტემურ ანალიზსა და მიზნობრივ პოლიტიკურ რეაგირებას. ბოლო ათწლეულში ათასობით ქართველი ქალი დასაქმდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ძირითადად შინამეურნეობის სფეროში ან მომვლელის პოზიციებზე, რაც გამოკვეთილად ავლენს გენდერულ განაწილებას მიგრაციულ შრომაში, რაც ერთის მხრივ ქმნის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს ოჯახებისთვის, მაგრამ მეორეს მხრივ ამყარებს ქალების მიმართ არსებულ სტრუქტურულ შეზღუდვებს „ზრუნვის ეკონომიკაში“ და აღრმავებს მათ სამომავლო

პროფესიულ შესაძლებლობებზე ზემოქმედებას. მიგრაციის პოლიტიკა, განსაკუთრებით ქალთა მიმართ, ხშირად არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს, რაც ხელს უშლის ქალთა სრულფასოვან ინტეგრაციას როგორც მიგრაციის პროცესში, ისე მათი შემდგომი რეინტეგრაციისას (UNDP, 2023, p.12). მიგრანტი ქალების გამოცდილებები აჩვენებს, რომ ისინი ხშირად ექვემდებარებიან ექსპლუატაციას და არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები საკუთარი უფლებების დასაცავად. მიგრაციის შემდგომ, მათი დაბრუნება საქართველოში ხშირად რთულია, რადგან მათ არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური კაპიტალი და გამოცდილება, რაც ხელს შეუშლის მათ წარმატებულ რეინტეგრაციას. ამასთანავე, ისინი ხშირად ვერ ახერხებენ წვდომას საჭირო ინფორმაციაზე, როგორიცაა სახელმწიფო პროგრამები, განათლების შესაძლებლობები და დაფინანსების წყაროები.

ქალები სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში თანდათან უფრო ინტენსიურად ერთვებიან, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სექტორში მათი აქტიურობა საგრძნობლად იზრდება. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქალია, რაც მიუთითებს, რომ ფორმალური პოლიტიკური ბარიერების პირობებში ქალები ხშირად ალტერნატიულ სივრცეებში ამკვიდრებენ საკუთარ ხმას (Darbaidze, 2018). თუმცა, ოჯახური ვალდებულებებისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული სტერეოტიპების გამო, ქალთა „ორმაგი დატვირთვა“ კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. საქართველოს თანამედროვე სოციალური რეალობა ერთდროულად შეიცავს პროგრესისა და სტაგნაციის ნიშნებს: ქალები აქტიურად მონაწილეობენ განათლებასა და სამოქალაქო აქტივიზმში, მაგრამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე კვლავ შეზღუდულები არიან, რაც სისტემური ბარიერების არსებობაზე მიუთითებს.

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა თანამედროვე საქართველოში: სამართლებრივი ინიციატივები და გენდერული კვოტირება

პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საჭიროებებზე. 2000-იან წლებში პოლიტიკურ პარტიებში ქალთა ჩართულობა კვლავ შეზღუდული რჩებოდა, ისინი უმეტესად ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ პარტიული საქმიანობის კონტექსტში, რაც ასახავდა პოლიტიკური პარტიების დემოკრატიული მახასიათებლების არასაკმარის განვითარებას.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, მიუხედავად დემოკრატიული რეფორმებისა და ქვეყნის საერთაშორისო ინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯებისა, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა ფორმალურ პოლიტიკურ სივრცეში კვლავ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდიდა. საქართველოში, საკანონმდებლო დონეზე, ქალთა წარმომადგენლობა 2020 წლამდე, სანამ ქვეყანაში სავალდებულო გენდერული კვოტა დამკვიდრდებოდა, 16%-ს არ აღემატებოდა (IndexMundi, n.d.).

ბოლო წლებში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები მკაფიოდ წარმოაჩენს იმ მრავალფეროვან ბარიერებს, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში ქალთა სრულფასოვან მონაწილეობას ხელს უშლის. ასეთ დაბრკოლებებს შორის მოიხსენიება ტრადიციული გენდერული როლები და სტერეოტიპები, დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და ნორმები, პოლიტიკური გამოცდილებისა და განათლების ნაკლებობა, ინფორმაციისა და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, პარტიების, ოჯახის და სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან არსებული ზეწოლა, ასევე არახელსაყრელი საარჩევნო სისტემა (Council of Europe, 2022).

გარდა ამისა, ქართული პოლიტიკური პარტიების ხასიათდებიან მასკულინური მოწყობის წესებით და შიდა დემოკრატიის დე-

ფიციტით, შესაბამისად ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, ქალებმა ვერ შეძლეს ყოფილიყვნენ კრიტიკული მასა ეროვნულ დონეზე (დარბაიძე, 2018). ქვეყანაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩებოდა და კვლავაც რჩება პარტიული სიების ფორმირების/კანდიდატთა ნომინირების პატრონაჟული ტიპის სისტემები და პარტიაში ქალთა დაწინაურების გაუმჭვირვალე და ბუნდოვანი მექანიზმები, რაც საქართველოში ქალთა დაწინაურებისა და გადაწყვეტილების მიღების დონეზე მათი წარმომადგენლობის ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

2011 წელს, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით და პროგრესული ცვლილებების მოლოდინით, საქართველოს „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში, კერძოდ კი 251-ე მუხლის მე-7 პუნქტით განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც შესაბამისი წესების დაცვით იღებდა სახელმწიფო დაფინანსებას, დამატებით 10%-იან დაფინანსებას იღებდა იმ შემთხვევაში, თუ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატზე მინიმუმ ორი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნებოდა (საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, 2011). მოგვიანებით, ამავე ნაწილში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტი 30%-იან დანამატს მიიღებდა. კანონი ძალაში შევიდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე, თუმცა პრაქტიკაში მექანიზმის ეფექტიანობა შეიზღუდა. მცირე პოლიტიკური პარტიების ნაწილი, რომლებმაც ეს შესაძლებლობა გამოიყენეს, საერთოდ ვერ მოხვდნენ საქართველოს პარლამენტში. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებიდან მხოლოდ შვიდმა წარადგინა სიაში 30%-იანი განსხვავებული სქესის ნორმა, თუმცა მათგან მხოლოდ ოთხმა მოახერხა საარჩევნო ბარიერის გადალახვა და

საბაზისო დაფინანსების დამატებითი ნორმის მიღება. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ძირითადი პარტიები, სახელისუფლებო „ქართული ოცნება“ და მთავარი ოპოზიციური ძალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნულ საკანონმდებლო მექანიზმს არ იყენებდნენ ეფექტიანად, რაც ხაზს უსვამდა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციონალური პოლიტიკის არასისტემურ ბუნებას ქართულ პარტიულ პოლიტიკაში. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ გენდერული კვოტირების მექანიზმი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს დამატებით ფინანსურ სტიმულს სთავაზობდა, პრაქტიკულად მხოლოდ პატარა პარტიების აქტივობაში იყო ეფექტური, რადგან მსხვილი პარტიები არც ფინანსური შეზღუდვების წინაშე იდგნენ და არც გენდერული თანასწორობის ნორმებისადმი მგრძნობელობით არ გამოირჩეოდნენ. შედეგად, აღნიშნული სამართლებრივი ინიციატივამ ვერ მიაღწია უმთავრეს მიზანს.

სავალდებულო გენდერული კვოტის სისტემის შემოღება საქართველოში პირველად 2020 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში განხორციელდა, როგორც სახელმწიფო ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო პოლიტიკური წარმომადგენლობის თანაბარ გაწონასწორებასა და გენდერული უთანასწორობის შემცირებაზე. აღნიშნული სამართლებრივი ინიციატივა განპირობებული იყო საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებებით, რომელიც ასევე მოიცავდა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებას და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობას. გენდერული კვოტირება განხორციელდა მთავრობისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების აქტიური მხარდაჭერით, რაც მიზნად ისახავდა არჩევნებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარ და გენდერულად მგრძნობიარე მონაწილეობის უზრუნველყოფას.

2020 წელს საქართველოში გენდერული კვოტების შემოღებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების სტრუქტურაზე. აღ-

ნიშნული რეფორმა განხორციელდა 2020 წლის საარჩევნო ცვლილებების ფარგლებში და ის მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის სისტემატიზებულ უზრუნველყოფას. სავალდებულო გენდერული კვოტის მიხედვით, პროპორციულ სიებში ყოველი ოთხი კანდიდატიდან წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მინიმუმ ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. საქართველოს პარლამენტის პროპორციული წევრობის გათვალისწინებით 120 პროპორციული და 30 მაჟორიტარული დეპუტატით, აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფდა, რომ გენდერული კვოტა პროპორციულ სიებში ეფექტურად შეადგენდა დაახლოებით 25%-ს, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებდა ქალთა წარმომადგენლობას პოლიტიკურ დონეზე (საქართველოს პარლამენტი, 2024). გარდა სავალდებულო გენდერული კვოტისა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში განისაზღვრა **წამახალისებელი მექანიზმი**, რომელიც ითვალისწინებდა პარტიულ სიებში ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენლის დასახელების სტიმულირებას. თავდაპირველად, აღნიშნული მექანიზმი მოქმედებდა 2028 წლამდე, მოგვიანებით, კერძოდ კი 2023 წლის 9 თებერვალს დაჩქარებული საკანონმდებლო პროცედურით მიღებული ცვლილებებით, კვოტირების ვადა გახანგრძლივდა 2032 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით. ეს ცვლილება მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის პროცესის მდგრადობის მხარდაჭერას და ქალების ინსტიტუციური პოზიციების გაძლიერების სტიმულირებას პოლიტიკურ სივრცეში გრძელვადიან პერსპექტივაში.

საკანონმდებლო კორექტივები ასახული იყო საქართველოს **საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლში**, რომელიც განსაზღვრავდა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის თითოეული პარტიული სიის ყოველ ოთხეულში უნდა შესულიყო მინიმუმ ერთი ქალი. 2028 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და შემდგომი, 2032 წლის ჩათვლით ჩატარებული არჩევნებისთვის, თანასწორობის პრინციპი გარკვეულწილად გაუმჯობესდა:

ახალი ცვლილების მიხედვით, თუ აქამდე პარტიული სიით გამოკ-ლებულ მამაკაც დეპუტატს ისევ იმავე სქესის დეპუტატი ანაცვლებ-და, ცვლილებების შემდეგ მას, მომდევნო ნომერი ჩაანაცვლებდა, რაც იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ სიის მომდევნო წევრი ქალი ყოფილიყო (საქართველოს პარლამენტი, 2024).

გენდერული კვოტირების შემოღების შედეგად, 2020 წლის სა-პარლამენტო არჩევნებზე ქალთა წარმომადგენლობის წილი მნიშ-ვნელოვნად გაიზარდა 14%-დან 20.7%-მდე (Inter-Parliamentary Union, 2020). მკაფიო პროგრესის მიუხედავად, საქართველოში ქალ-თა პოლიტიკური ჩართულობა კვლავ ჩამორჩებოდა ქვეყნის დემოგ-რაფიულ სტრუქტურას და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზ-ღვრულ გენდერულ თანასწორობას. განსაკუთრებულად თვალსა-ჩინო გახდა ცვლილება 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე: ქალ-თა წილი საკრებულოებში 13.8%-დან 24%-მდე გაიზარდა, ხოლო პროპორციული სისტემით მანდატი მოიპოვა 441-მა ქალმა (31.4%), მაშინ როდესაც 2017 წელს ეს მაჩვენებელი 19.8% იყო (ISFED, 2018). აღნიშნული მონაცემები ასახავდა რაოდენობრივ პროგრესს, თუმცა მიუთითებდა, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა პოლიტი-კურ სივრცეში კვლავ დასახული მიზანი იყო და საჭიროებდა და-მატებით ინიციატივებსა და მექანიზმებს.

საქართველოში გენდერული თანასწორობის სფეროში მიღწე-ული წინსვლა, მიუხედავად თვალსაჩინო პროგრესული ნიშნებისა, გამოირჩეოდა დროებითობითა და ფრაგმენტულობით, რაც ხელს უშლიდა გენდერული თანასწორობის სისტემურ, მდგრად და ინსტიტუციურად კონსოლიდირებულ განვითარებას პოლიტიკუ-რი პროცესების ფარგლებში. სწორედ ამ არამდგრადი ვითარების ფონზე, სავალდებულო გენდერული კვოტირების დაწესებიდან ოთხი წლის შემდეგ 2024 წლის 1 აპრილს პარლამენტში ოფიცია-ლურად დარეგისტრირდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის საფუძველზე მოქმედი გენდერული კვოტირების რეგულაციის სრულ გაუქმებას,

რომლის ინიციატორი საპარლამენტო პარტია „გირჩი“ იყო (საქართველოს პარლამენტი, 2024). 4 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა ცვლილებები, რომელთა მიღების შედეგად პოლიტიკური პარტიები სრულად გათავისუფლდნენ ვალდებულებისგან, რომ საარჩევნო სიებში გენდერული ბალანსი კვოტირების გზით უზრუნველყოთ. ამასთან, გაუქმდა ფინანსური წახალისების არსებული მექანიზმიც, რომელიც აქამდე დამატებით დაფინანსებას სთავაზობდა იმ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომელთა პარტიულ სიებში ქალები განსაზღვრული პროპორციით იყვნენ წარმოდგენილი (საქართველოს პარლამენტი, 2024).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან იკვეთებოდა გარკვეული ძალისხმევა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად, აღნიშნული ძალისხმევა ვერ გამოირჩეოდა სისტემურობითა და თანმიმდევრულობით. უფრო მეტიც, იგი ვერ უზრუნველყოფდა იმ ღრმად ფესვგადგმული გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ტრანსფორმაციას, რომლებიც საზოგადოებრივ ცნობიერებაში იყო გამჯდარი. შედეგად, სავალდებულო კვოტირების გაუქმება შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ როგორც ამ არასისტემური პოლიტიკის პირდაპირ გამოვლინებად, არამედ როგორც დემოკრატიული ინსტიტუციური განვითარების დაუსრულებელი პროცესის გამოხატულებად, რომელიც კვლავ საჭიროებს კონსოლიდირებულ და მდგრად მიდგომებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

დასკვნა

კვლევის შედეგები ნათლად წარმოაჩენს, რომ საქართველოში ქალთა სოციალური და პოლიტიკური როლის ევოლუცია განსაზღვრული იყო არა მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციებისა და ინსტიტუციური ცვლილებების დინამიკით, არამედ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმულ ტრადიციულ სტერეოტი-

პებთან მუდმივი დაპირისპირებითაც. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ისტორიულ ეტაპებზე გამორჩეული ქალები, როგორც პოლიტიკური, ისე ეროვნული მნიშვნელობის საზოგადოებრივი ფიგურები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის განვითარების პროცესში, ქალთა ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ინტეგრაცია რეალურად მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გახდა შესაძლებელი. თუმცა საბჭოთა პერიოდში ფორმალურად დეკლარირებული გენდერული თანასწორობა ვერ იქცა ქალთა ფაქტობრივი ემანსიპაციის მყარ გარანტად, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი განვითარება, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის შეზღუდულობას აგრძელებდა როგორც ინსტიტუციურ, ისე კულტურულ ბარიერებთან მიმართებით.

გენდერული კვოტირების მექანიზმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალთა წარმომადგენლობის ზრდის პროცესში, თუმცა მისი გაუქმება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მიღწეული პროგრესის მდგრადობას და კიდევ ერთხელ ავლენს, რომ სამართლებრივი მექანიზმების გარეშე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ნაკლებად რეალისტურია. შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მდგრადობის უზრუნველყოფა, სამართლებრივი, ინსტიტუციური და კულტურული ბარიერების თანმიმდევრული და სიღრმისეული დაძლევის გზით. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი ქალთა პოლიტიკური როლის ტრანსფორმაცია დროებით მიღწევებიდან სისტემურ და შეუქცევად პროცესად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაგრატიონი, დ. (1964). დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნი. ტექსტი გამოქვეყნებული და შესწავლილი დ. პურცელაძის მიერ. გამომცემლობა „მეცნიერი“. გვ. 41–43.

2. დოლიძე, ი. (1981). *სამართალი ვახტანგ VI-ისა: ტექსტი დასტურდება, კვლევა და გლოსარი დაურთო ისიდორე დოლიძემ.*

თბილისი: საბჭოთა საქართველო. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/409460/1/Samartali_Vaxtang_Meeqvsisa_1981.pdf

3. მეტრეველი, ვ. (2014). *ქართული სამართლის ისტორია*. თბილისი: მერიდიანი.

4. საქართველოს ეროვნული საბჭო. (1918). *საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი*. საქართველოს ეროვნული არქივი. https://davlogsais.archive.gov.ge/en/istoriabibliografia-6

5. საქართველოს დამფუძნებელი კრება. (1918). *დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ დებულება*. თბილისი.

6. საქართველოს ორგანული კანონმდებლობა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა და საარჩევნო კოდექსში შესწორებების შესახებ. (2020). თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

7. საქართველოს პარლამენტი. (2011). *საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“*. მიღებულია: https://www.parliament.ge

8. საქართველოს პარლამენტი. (2024, 4 აპრილი). *პარლამენტმა გენდერული კვოტირების გაუქმებასთან დაკავშირებით „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილება პირველი მოსმენით მიიღო* [სიახლე]. Parliament.ge. მიღებულია: https://parliament.ge/media/news/parlamentma-saarchevno-kodeksshi-genderuli-kvotirebis-tsestan-dakavshirebuli-tsvlileba-pirveli-mosmenit-miigho

9. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“, N 251 მუხლის მე-7 პუნქტის ცვლილება. (2011). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/

10. ხომერიკი, ლ., & ჩუბინიძე, ნ. (1998). *ქალთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში*. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ცნობარი. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი.

11. ჯალაბაძე, დ. (1981). *დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში*. თბილისი.

12. ჯავახიშვილი, ი. (1982). *ქართული სამართლის ისტორია* (თხზულებანი 12 ტომად, ტომი VI). თბილისი. ხელმისაწვდომია https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/440711/1/Txzulebani_Tormet_Tomad_1982_Tomi_VI.pdf

13. ჯავახიშვილი, ი. (1984). *ქართული სამართლის ისტორია*, ტომი VII. თბილისი.

14. Council of Europe. (2022). *Study identifying barriers to women's (women candidates') political participation in Georgia*. Council of Europe. https://rm.coe.int/eng-study-barriers-to-women-s-women-candidates-political-participation/1680a95e53

15. Genderbarometer.Ge. (2020, 12 ოქტომბერი). *კატო მიქელაძე – ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე*. https://genderbarometer.ge/kato-mikeladze

16. Darbaidze, E., & Niparishvili, T. (2023). *The status of women in the Soviet Union*. Journal of Geography, Politics and Society, 13(1), 1–10.

17. Darbaidze, E. (2018). Increasing Women's Political Participation in Georgia. *Ideology and Politics*, *2*(10), 30-56.

18. IndexMundi. (n.d.). *Georgia – Proportion of seats held by women in national parliaments (%)*. Retrieved [26.08.2025], from https://www.indexmundi.com/facts/georgia/indicator/SG.GEN.PARL.ZS

19. Lastovka, T. (2011). *Тунеядство в СССР (1961-1991): Юридическая теория и социальная практика*. CyberLeninka. https://cyberleninka.ru/article/n/tuneyadstvo-v-sssr-1961-1991-yuridicheskaya-teoriya-i-sotsialnaya-praktika

20. UNDP. (2023). *Socioeconomic stability for Georgian labor migrant women*. United Nations Development Programme. https://www.ge.undp.org/

21. UNDP. (2023). *Gender and migration in Georgia: Challenges and opportunities*. United Nations Development Programme. https://www.ge.undp.org

22. World Bank. (2025). *School enrollment, tertiary (% gross)*. World Bank Group. https://data.worldbank.org/indicator/SE.TER.ENRR?locations=GE

23. World Bank. (n.d.). *Georgia | Gender Data Portal*. Retrieved September 9, 2025, from https://genderdata.worldbank.org/en/economies/georgia

Eka Darbaidze
Tamila Niparishvili

The Social and Political Role of Women in Georgia: From Historical Evolution to Contemporary Reality

Abstract

The social and political role of women in Georgia has always been a central issue in the context of the country's historical development and the modern democratic agenda. Although Georgian women have made significant contributions to state, cultural, and spiritual life throughout history, their participation in political processes has remained limited for a long time. The current global discourse, which emphasizes the importance of gender equality as a measure of the quality of democracy, makes the study of the Georgian experience even more relevant.

The presented work aims to provide a comprehensive analysis of the historical and cultural evolution of gender roles in Georgia and their impact on the formation of social and political reality. The study includes a study of normative regulations on the status of women in legal sources of the 11th–18th centuries, an assessment of the transformations of gender policy in the Soviet era and its consequences, as well as an analysis of the dynamics of women's political participation from the period after the restoration of independence to the present. Special attention is paid to the gender quota mechanism as an important tool for increasing women's representation, and the political, institutional and cultural challenges associated with its abolition.

The results show that despite the progressive steps taken, public awareness and institutional barriers based on traditional norms and stereotypes still represent a significant obstacle to the process of women's political and social integration.

Keywords: gender roles, women's political participation, gender quotas, women's social status, Soviet Georgia.